



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„ინჟმშენი“

„ინჟმშენი“ (სააქციო საზოგადოება ფირმა „ი ნ ჟ მ შ ე ნ ი“) თბილისის მ ე რ ი ი ს ა, სამშენებლო ორგანიზაცია. თბილისის გაბიფიკაციასთან დაკავშირებით 1958 საქალაქო საბჭოს აღმასკომთან შეიქმნა სამამ.-სამონტაჟო ორგანიზაცია „თბილგამშენი“, რ-საც დაევალა თბილისის ტერიტორიაზე ბაქო-თბილისის მაღალი წნევის გაზსადენისა და გაზგამანაწილებელი სადგურების მშენებლობა. 1960-იდან თბილისში ფართო მასშტაბით გაიშალა კომუნ. და სხვ. ობიექტების მშენებლობა. 1961 „თბილგამშენის“ ბაზაზე ჩამოყალიბდა მიწისქვეშა კომუნიკაციებისა და საინჟ. ნაგებობათა მშენებლობის ტრესტი „ინჟმშენი“. 1965 მას შეუერთდა ქალაქის გზათა მშენებლობის სამმართველო. 1994 ტრესტის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით იგი გარდაიქმნა თბილ. მერიის მუნიციპალურ სანარმოო ფირმა „ინჟმშენად“, რ-იც 1996 ჩამოყალიბდა სააქციო საზ-ბად.

„ი-მა“ თავისი არსებობის განმავლობაში ქალაქში მრავალი სასიცოცხლო მნიშვნელობის საინჟ. ნაგებობა ააშენა; გაიყვანა გარდაბანი-თბილისის, ბულაჩაური-თბილისის გაზსადენების მაგისტრალები, მაღალი და საშ. წნევის გაზსადენები ქალაქის ტერიტორიაზე; ასევე რამდენიმე მაღალი წნევის წყალსადენი: ნატახტარი- თბილისი, ქსანი-ნატახტარი, ჟინვალ-თბილისი (შემოვლითი წყალსადენი), მისაქციელი-ნატახტარი. ქალაქის ტერიტორიაზე ააშენა სათავო ნაგებობები, მაგისტრ. თბოქსელები; კვარტალური საქვაბეები ვარკეთილ-3-ში, ვაზისუბანში, ვარკეთილში და სხვ.; ავტომ. სატელეფონო სადგურები 30000 ნომერზე მუხიანის დასახლებაში, ვაზისუბანში, ვარკეთილში და სხვ.; მიწისქვეშა გადასასვლელი ფილარმონიასთან, ავტოსტრადა კახეთის გზატკეცილზე; საბაგირო გზა ლისის ტბაზე; სპორტდარბაზი და საცურაო აუზი სანაპიროზე; მონადირეთა კავშირის შენობა (ბაგებში); - მსხვილბლოკიანი საცხოვრ. სახლები გლდანის, ვარკეთილის, დიდი დიღმის დასახლებებში, ყოფ. საბურთალოსა (ახლანდ. ვ. ჭაბუკიანის, ს. ცინცაძისა და გ. კარტოზიას) და საირმის ქუჩებზე, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტი (2001) თავისუფლების

მოედანზე; პრეზიდენტის სასახლე (2009). რესტავრაცია ჩაუტარა სასტუმრო „თბილისი მარიოტს“ და სხვ. სააქციო საზ-ბა „ი-მა“ 2015 შეწყვიტა ფუნქციონირება.
